



სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“

## ინფორმაციის ტექნოლოგია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: თბილისი 0160, ფანჯიკიძის N3

ტელეფონი: +995 322 200220

ელ-ფოსტა: info@itvet.ge

პროგრამის ხელმძღვანელი: შოთა ბიჭიაშვილი

თბილისი

2023 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ინფორმაციის ტექნოლოგია /Information Technology;
2. პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძველი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი - ინფორმაციის ტექნოლოგია/Information Technology 06112-პ;
3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში/Basic Vocational Qualification in Information Technology Support;

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612.

4. პროგრამის მიზანი: პერსონალური კომპიუტერის აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფის კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს აპარატურული უზრუნველყოფისა და ოპერაციული სისტემების დაყენების, განახლების, დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურებისათვის საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს;
5. დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება;

6. კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს იმ სხვადასხვა ტიპისა და იურიდიული სტატუსის მქონე ორგანიზაციაში (სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაცია ან კერძო კომპანია), სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის ან ტექნიკოს-ოპერატორის ან ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტის პოზიციაზე. ასევე, პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობას;

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0  
დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512

## 7. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

- 7.1 ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად 61 კრედიტი, რომელთაგან 17 კრედიტი არის ზოგადი მოდულები, 31 კრედიტი არის საერთო პროფესიული მოდულები, 13 კრედიტი არის პროფესიული მოდულები. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 44 სასწავლო კვირა.

7.2 მოდულის, ქართული ენა A2 (15 კრედიტი) გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. შესაბამისად, კვალიფიკაციის მისანიჭებლად მათ უნდა დააგროვონ ჯამურად 76 კრედიტი. სწავლების სავარაუდო ხანგრძლივობაა 55 სასწავლო კვირა.

<b>ინფორმაციის ტექნოლოგია (Information Technology)</b>			
<b>ზოგადი მოდულები - 16 კრედიტი</b>			
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>მოდულზე დაშვების წინაპირობა</b>	<b>კრედიტი</b>
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1		3
2.	ინტერპერსონალური კომუნიკაცია		3
3.	რაოდენობრივი წიგნიერება		2
4.	მეწარმეობა 1		2
5.	სამოქალაქო განათლება		3
6.	უცხოური ენა (ინგლისური)		4
<b>საერთო პროფესიული მოდულები - 31 კრედიტი</b>			
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>მოდულზე დაშვების წინაპირობა</b>	<b>კრედიტი</b>
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა		7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა		6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები		7
4	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა		7
5	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები		4
<b>პროფესიული მოდულები - 13 კრედიტი</b>			
<b>№</b>	<b>მოდულის დასახელება</b>	<b>მოდულზე დაშვების წინაპირობა</b>	<b>კრედიტი</b>
1.	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support		6

2.	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში		1
3.	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	ყველა პროფესიული მოდული	6

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები: ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია:**

- ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
- დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
- დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემა;
- დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
- უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
- განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
- გაარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP, OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
- გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
- შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
- მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.

**9. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს. პროგრამა ხორციელდება მოდულური ან/და დუალური მიდგომით. პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების შემთხვევაში საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისთვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. (პროცენტული განაწილება რეგულირდება პარტნიორ კომპანიებთან შეთანხმებული კრედიტების განაწილების ცხრილებით)**

**10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება:** კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება, რომელიც რეგულირდება „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

პროგრამის მოდულები სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### **მართლმეტყველება**

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

**11. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:** პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა ჯამურად უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 60 კრედიტი, ხოლო პროგრამის 7.2 ქვეპუნქტით განსაზღვრულმა პროფესიულმა სტუდენტმა 75 კრედიტი;

დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

12. **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:** შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

### **მოდულური მიდგომით**

დანართი 1.1 - სასწავლო გეგმა;

დანართი 1.2 - სასწავლო გეგმა ქართული ენის მოდულის გათვალისწინებით;

დანართი 1.3 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

დანართი 1.4 - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

დანართი 1.5 - ქართული ენა A2;

დანართი 1.6 - ინფორმაციული წიგნიერება 1;

დანართი 1.7 - ინტერპერსონალური კომუნიკაცია;

დანართი 1.8 - რაოდენობრივი წიგნიერება;

დანართი 1.9 - მეწარმეობა 1;

დანართი 1.10 - სამოქალაქო განათლება;

დანართი 1.10.1 - მატერიალური რესურსი - სამოქალაქო განათლება

დანართი 1.11 - უცხოური ენა (ინგლისური);

დანართი 1.12 - კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა;

დანართი 1.13 - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა;

დანართი 1.14 - კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები;

დანართი 1.15 - დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support;

დანართი 1.16 - მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები;

დანართი 1.17 - კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა;

დანართი 1.18 - გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში;

დანართი 1.19 - პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში.

## დუალური მიდგომით

დანართი 1.1<sup>ლ</sup> - სასწავლო გეგმა;

დანართი 1.2<sup>ლ</sup> - სასწავლო გეგმა ქართული ენის მოდულის გათვალისწინებით;

დანართი 1.3<sup>ლ</sup> - კრედიტების განაწილების ცხრილი

დანართი 1.4<sup>ლ</sup> - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

დანართი 1.5<sup>ლ</sup> - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

დანართი 1.6<sup>ლ</sup> - ქართული ენა A2;

დანართი 1.7<sup>ლ</sup> - ინფორმაციული წიგნიერება 1;

დანართი 1.8<sup>ლ</sup> - ინტერპერსონალური კომუნიკაცია;

დანართი 1.9<sup>ლ</sup>- რაოდენობრივი წიგნიერება;

დანართი 1.10<sup>ლ</sup> - მეწარმეობა 1;

დანართი 1.11<sup>ლ</sup> - სამოქალაქო განათლება;

დანართი 1.12<sup>ლ</sup> - უცხოური ენა (ინგლისური);

დანართი 1.13<sup>ლ</sup> - კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა;

დანართი 1.14<sup>ლ</sup> - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა;

დანართი 1.15<sup>ლ</sup> - კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები;

დანართი 1.16<sup>ლ</sup> - დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support;

დანართი 1.17<sup>ლ</sup> - მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები;

დანართი 1.18<sup>ლ</sup> – კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა;

დანართი 1.19<sup>ლ</sup>- გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში;

დანართი 1.20<sup>ლ</sup> - პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში.

## დუალური მიდგომით

დანართი 1.1.1<sup>ა</sup> - სასწავლო გეგმა;

დანართი 1.1.2<sup>ა</sup> - სასწავლო გეგმა ქართული ენის მოდულის გათვალისწინებით;

დანართი 1.1.3<sup>ა</sup> - კრედიტების განაწილების ცხრილი

დანართი 1.1.4<sup>ა</sup> - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსის ჩამონათვალი;

დანართი 1.1.5<sup>ა</sup> - პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი;

დანართი 1.1.6<sup>ა</sup> - ქართული ენა A2;

დანართი 1.1.7<sup>ა</sup> - ინფორმაციული წიგნიერება 1;

დანართი 1.1.8<sup>ა</sup> - ინტერპერსონალური კომუნიკაცია;

დანართი 1.1.9<sup>ა</sup> - რაოდენობრივი წიგნიერება;

დანართი 1.1.10<sup>ა</sup> - მეწარმეობა 1;

დანართი 1.1.11<sup>ა</sup> - სამოქალაქო განათლება;

დანართი 1.1.12<sup>ა</sup> - უცხოური ენა (ინგლისური);

დანართი 1.1.13<sup>ა</sup> - კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა;

დანართი 1.1.14<sup>ა</sup> - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა;

დანართი 1.1.15<sup>ა</sup> - კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები;

დანართი 1.1.16<sup>ა</sup> - დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support;

დანართი 1.1.17<sup>ა</sup> - მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები;

დანართი 1.1.18<sup>ა</sup> - კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა;

დანართი 1.1.19<sup>ა</sup> - გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში;

დანართი 1.1.20<sup>ა</sup> - პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში.